პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №.....

____ თებერვალი, 2020 წელი ქალაქი ბათუმი

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

მუხლი 1.

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში გამოქვეყნების თარიღი: 06/03/2013; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.132.016155) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დადგინდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობისათვის საფასური დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით:

ა) 1 დღე - 10 (ათი) ლარი ;

ბ) 7 დღე - 20 (ოცი) ლარი;

გ) 30 დღე - 30 (ოცდაათი) ლარი;

დ) 182 დღე - 45 (ორმოცდახუთი) ლარი;

ე) 365 დღე - 60 (სამოცი) ლარი.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზანი:

პროექტის მიღების მიზანია თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასურის დადგენის შესახებ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №4 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 03/11/2010; სარეგისტრაციო კოდი: 310150000.35.132.016008) ცვლილების შეტანა, კერძოდ:

ა) პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით სარგებლობისათვის საფასური დროის შემდეგი მონაკვეთების მიხედვით იცვლება (იზრდება) შემდეგნაირად:

არსებული:	**ცვლილების შემდეგ:**
ა) 1 დღე - 1 (ერთი) ლარი;	1 დღე - 10 (ათი) ლარი ;
ბ) 7 დღე - 5 (ხუთი) ლარი;	7 დღე - 20 (ოცი) ლარი;
გ) 30 დღე - 10 (ათი) ლარი;	30 დღე - 30 (ოცდაათი) ლარი;
დ) 182 დღე - 25 (ოცდახუთი) ლარი;	182 დღე - 45 (ორმოცდახუთი) ლარი;
ე) 365 დღე - 40 (ორმოცი) ლარი.	365 დღე - 60 (სამოცი) ლარი.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

დადგენილების პროექტის მიხედვით იზრდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკირების საერთო ადგილებით და პარკირების სპეციალური ადგილებით სარგებლობისათვის საფასური.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

დადგენილების მიღებიდან გამომდინარე არ არის საჭირო რაიმე სახის დამატებითი ხარჯის გაწევა.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

დადგენილების პროექტის მიღება გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში (გაზრდილი საფასურის გადახდის შედეგად მიღებული შემოსავალი), ხოლო ხარჯვით ნაწილზე გავლენას არ იქონიებს.

ზ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

დადგენილების პროექტის მიღება გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირთათვის, რომელთა დაეკისრებათ შესაბამისი სანქცია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორ-მატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექს-პერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში კონსულტაციები არ მიღებულა.

ე) პროექტის ავტორი:

დადგენილების პროექტის ავტორია შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი".

ვ) პროექტის ინიციატორი:

დადგენილების პროექტის ინიციატორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს
იურისტი **მარად სანიკიძე**